სასწავლო პროცესის დიფერენცირება სკოლებში

1. შესავალი

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში პოლიტიკის დიფერენცირების მიზანია განათლების ხარისხის ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის, მათ შორის განათლების ხელმისაწვდომობის, ხარჯების ოპტიმიზაციის, სახელმწიფო პროგრამების ეფექტურობისა და რელევანტურობის ზრდის პროცესის დაჩქარება. დიფერენცირების კონცეფცია ეფუძნება იმ მოცემულობას, რომ სკოლებში სწავლების, გადაწყვეტილებების მიღების, ადამიანური, თუ სხვა რესურსების მართვის პრინციპებისა და პროცესების გაუმჯობესების პოტენციალი არსებობს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია, თუ სკოლებში ასევე პოზიტიური ცვლილებების მოტივაციას ვხვდებით და ვახალისებთ.

დიფერენცირების მიდგომა ასევე ეფუძნება ცოდნას, რომ მრავალფეროვანი პრობლემების გადაჭრა შედარებით უფრო ეფექტიანია არაერთგვაროვანი ინსტრუმენტებითა და სახელმწიფო პროგრამების (Policy) გამოყენებით. სკოლების შესაძლებლობებისა და მოტივაციის გაზრდა შესაძლებელია მათი განვითარებისთვის ერთი მხრივ ბარიერების მოხსნის გზით, მეორე მხრივ კი კონტროლისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე[1].

ამ დოკუმენტის მიზანია, რომ გადაწყვეტილებების მიმღებებს განათლებაში დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკის დანერგვის მოდელი შესთავაზოს. რადგან დიფერენცირებული პოლიტიკა განათლებაში მართვის სხვადასხვა მიმართულებას შეიძლება შეეხოს, ამიტომაც მნიშვნელოვანია დანერგვის პრინციპები და სტრატეგია თითოეული მიმართულებისთვის შემუშავდეს. ამ დოკუმენტში განხილულია, ერთი ასეთი მიმართულების, სასწავლო პროცესის მართვის დიფერენცირების მიდგომების დანერგვის გზა. აქ მოცემული მოდელი შეიძლება გამოდგეს სხვა მიმართულებების მსგავსად გასააზრებლად.

2. დიფერენცირებულ მიდგომაზე გადასვლის დანერგვის სტრატეგია

იმისთვის, რომ დიფერენცირებული პოლიტიკა დაინერგოს საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

---

[1] უფრო დეტალურად დიფერენცირებული მიდგომის შესახებ იხილეთ დოკუმენტში: ჯანაშია, ს. & აფხაზავა, რ., *დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკა განათლებაში.* კოალიცია განათლება ყველასათვის, თბილისი, 2015. https://drive.google.com/file/d/0B7oD0-lFqSz1WWdfd0p6NHMzQzA/view

1. <u>არსებული (და შესაძლოა სასურველი) რეგულირების მიმართულებებისა და სფეროების ანალიზი</u>
   შესწავლილ უნდა იქნას, თუ რას და როგორ (რა ინსტრუმენტებით) არეგულირებს დღეს სახელმწიფო ზოგადი განათლების სისტემაში.
2. <u>უნდა განისაზღვროს რეგულირების რამდენიმე (სავარაუდოდ სამი) დონე:</u>
   შემოთავაზებული რეგულირების დონეებია: მაღალი, საშუალო და დაბალი რეგულირების დონე. რეგულირების სფეროები და რეგულირების ინსტრუმენტები უნდა დაიყოს და აღიწეროს რეგულირების დონეების მიხედვით.
3. <u>უნდა შემუშავდეს მხარდაჭერისა და კონტროლის პროგრამები, რეგულირების სხვადასხვა დონეზე მყოფი სკოლებისთვის.</u>
4. <u>უნდა განისაზღვროს სკოლებისთვის რეგულირების დონის არჩევისა და მინიჭების მექანიზმი.</u>
   მნიშვნელოვანია, რომ რეგულირების დონეების მიხედვით დაყოფა მოხდეს ერთი მხრივ სკოლების ინიციატივის (მოტივაციის) და მეორე მხრივ სკოლების შესაძლებლობების გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ სკოლებს სახელმწიფო ცენტრალიზებულად განუსაზღვრავს რეგულირების დონეებს, მაშინ დიდი ალბათობით არსებობს რისკი, რომ სკოლებისთვის დიფერენცირებული მიდგომა თავსმოხვეული პოლიტიკის ინსტრუმენტი გახდება. ასევე დიდია ალბათობა, რომ ცენტრალიზებულად სახელმწიფოს შეიძლება გაუჭირდეს ყველა სკოლის შესაძლებლობების, დანაკლისებისა და მოტივაციის დონის სათანადო შეფასება[2].
   ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ინიციატივა რეგულირების დონეების არჩევასთან დაკავშირებით თავად სკოლებისგან მოდიოდეს. ამისთვის ჩვენს კონტექსტში შესაძლოა საუკეთესო და გარკვეულწილად აპრობირებულ მეთოდად, სკოლების თვითშეფასებისა და გარე შეფასების მექანიზმის, ავტორიზაციისა აკრედიტაციის მექანიზმების გაუმჯობესებული პრინციპები და ინსტრუმენტები გამოდგეს.
5. <u>უნდა განისაზღვროს დიფერენცირებული პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების სქემა</u>
   მონიტორინგის და შეფასების სისტემა უნდა მოიცავდეს ორ მიმართულებას:
   ა) კონკრეტული სკოლების მიერ რეგულირების დონის მიხედვით სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებების (ავტორიზაციის/აკრედიტაციის შედეგების) შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას;
   ბ) სისტემის დონეზე პოლიტიკის წარმატებულობის ინდიკატორების გაზომვასა და რეგულირების/მხარდაჭერის ინსტრუმენტების შეფასებასა და განვითარებას.

ქვემოთ მოცემულია ამ პოლიტიკის განხორციელებისთვის საჭირო ნაბიჯების აღწერას სასწავლო პროცესის რეგულირების დიფერენცირების მაგალითზე.

[2] დიფერენცირებული პოლიტიკის რისკების შესახებ იხ ქვევით, მე-4-ე თავში

3. სასწავლო პროცესის მართვის დიფერენცირების განხორციელების მაგალითი

იმისთვის, რომ სასწავლო პროცესის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის დონეზე მართვის დიფერენცირება მოხდეს, პირველ რიგში შესასწავლია თუ რა ინსტრუმენტებით და რა რეგულაციებით მართავს სახელმწიფო ამ მიმართულებას. ანალიზისას გამოიყოფა მართვის ის საკითხები, რომლებიც შემდგომში დაიყოფა რეგულირების დონეების მიხედვით. რეგულირების დონეებად დაყოფის შემდეგ, მნიშვნელოვანია არსებული და საჭირო მხარდაჭერისა და კონტროლის მექანიზმების ანალიზი და შემუშავება. ხოლო იმისთვის, რომ რეგულირების დონეებისა და შესაბამისი მხარდაჭერისა და კონტროლის მექანიზმების მისადაგება მოხდეს, შემდეგი ნაბიჯია სკოლების მიმართულებებისა და სფეროების მიხედვით ამ დონეების მიხედვით დაყოფა. საბოლოო ნაბიჯია სკოლების დაყოფის შესაბამისი მონიტორინგისა და შეფასების სქემის შემუშავება და დანერგვა. ქვემოთ მოცემულია თითოეული ამ ნაბიჯის განხორციელების ნიმუში.

ნაბიჯი - 1: სასწავლო პროცესის სახელმწიფოს მიერ რეგულირების არსებული მექანიზმების ანალიზი

საქართველოს სკოლებში სასწავლო პროცესს განსაზღვრავს რამდენიმე სახელმწიფო რეგულაცია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. კანონი ზოგადი განათლების შესახებ
2. ეროვნული სასწავლო გეგმა
3. სკოლების ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტები

ქვემოთ მოცემულია იმ რეგულაციების ჩამონათვალი, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის პერსპექტივიდან.

3.1.1 კანონი ზოგადი განათლების შესახებ

სასწავლო პროცესის რეგულირების თვალსაზრისით, კანონი ზოგადი განათლების შესახებ აწესებს მოთხოვნებს:

ა) სწავლების ენის შესახებ: სწავლების ენა საქართველოში არის ქართული და ასევე აფხაზური. საქართველოს მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული მშობლიური ენა არ არის ქართული, უფლება აქვთ განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე. ამ დროს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ასევე ასწავლოს სახელმწიფო ენა. ასევე დასაშვებია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების არსებობის შემთხვევაში, სწავლება უცხოურ ენაზეც განხორციელდეს. სკოლაში ასევე შესაძლებელია ისწავლებოდეს ჟესტების ენა ან ბრაილის შრიფტი. კანონი ასევე აწესებს მოთხოვნას, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ხორციელდებოდეს სახელმწიფო ენაზე.

ბ) საგნობრივი ჯგუფების შესახებ: კანონის მიხედვით ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ვალდებულია ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. აღნიშნულია, რომ ეს გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ საგნობრივ ჯგუფებს:

1. სახელმწიფო ენა

2. მათემატიკა
3. უცხოური ენები
4. საზოგადოებრივი მეცნიერებები
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
6. ტექნოლოგიები
7. ესთეტიკური აღზრდა
8. სპორტი

გ) გამოსაშვები გამოცდების შესახებ: ყველა მოსწავლე, რომელიც სწავლობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ვალდებულია ჩააბაროს გამოსაშვები გამოცდები. ეს მოთხოვნა არ ეხება მათ, რომლებმაც განათლება მიიღეს აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში.

დ) დაჩქარებული სწავლის შესახებ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (გმს) შეუძლია დაადგინოს წესი, რომელიც დაარეგულირებს განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეს შეეძლება დაჩქარებული წესით გაიაროს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.
ე) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების შესახებ: კანონი ადგენს, რომ შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით განისაზღვროს განსხვავებული მოთხოვნები და სწავლების ფორმაც.

ვ) მოსწავლეების მიღების პროცესის შესახებ: კანონი ადგენს, რომ სკოლაში სწავლის დაწყების ასაკია 6 წელი. კანონი ასევე დასაშვებად მიიჩნევს, რომ სკოლებს ჰქონდეთ შესარჩევი კრიტერიუმები, ან ატარებდეს კონკურსს თუ ისინი არიან პროფილური სკოლები, ან ახორციელებენ სამხედრო, სახელოვნებო ან სასპორტო მომზადებას.

დ) სასკოლო კალენდრის შესახებ: კანონი ადგენს, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა სკოლაში სწავლა უნდა დაიწყოს 15 სექტემბერს, ან მომდევნო სამუშაო დღეს. განსხვავებული კალენდრით სკოლამ შეიძლება სწავლა დაიწყოს სამინისტროს გადაწყვეტილებით თუ: ა) ამ სკოლაში ტარდება საჯარო სკოლაში პილოტირება; ბ) უსაფრთხოების პრობლემების ან სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ან გ) კერძო სკოლის მიერ დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

ე) სწავლების შინაარსის შესახებ: კანონი ადგენს, რომ სწავლება უნდა იყოს ობიექტური და არადისკრიმინაციული. საჯარო სკოლებში დაუშვებელია რელიგიური ინდოქტრინაცია. ყველა სკოლაში დაუშვებელია სასწავლო პროცესის პოლიტიზირება.

ვ) დისციპლინური საკითხების შესახებ: სკოლას აქვს უფლება დააწესოს დისციპლინურ გადაცდომებზე სახდელები სკოლის შინაგანაწესის ფარგლებში. კანონი განსაზღვრავს ზოგად ნორმებს სახდელების მახასიათებლებისა და პროცედურული საკითხების შესახებ. გმს ამტკიცებს მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ წარდგენის საფუძველზე მოსწავლეების ქცევის კოდექსს.

ზ) დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება: სკოლებს აქვთ უფლება შესთავაზონ მშობლებს/მეურვეებს მოსწავლეებისთვის ის დამატებითი მომსახურება, მათ შორის ფასიანი, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არ არის გათვალისწინებული.

თ) სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ: კანონი ადგენს, რომ სკოლას შეუძლია შეიმუშავოს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე საკუთარი სასწავლო გეგმა (ამზადებს პედსაბჭო და დირექტორი, ამტკიცებს პედსაბჭო სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით). სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, სკოლის მიერ დამატებით საგანმანათლებლო საქმიანობასა და სასკოლო ღონისძიებებს.

3.1.2 ეროვნული სასწავლო გეგმა

ეროვნული სასწავლო გეგმა არეგულირებს სასწავლო პროცესს რამდენიმე მიმართულებით:

1. **შინაარსი**
    a. სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალს
    b. საგნების სწავლების თანმიმდევრობას კლასებისა და საფეხურების მიხედვით
    c. საგნების სწავლების მოცულობას, კვირეული, სემესტრული და წლიური დატვირთვის გათვალისწინებით
    d. საგნებში მისაღწევ შედეგებს კლასების ან/და საფეხურების მიხედვით
    e. საგნებში სასწავლ შინაარსს/თემებს კლასების ან/და საფეხურის მიხედვით
    f. რეკომენდაციები საგნების ფარგლებში ჩასატარებელი აქტივობების შესახებ.
    g. საგანთაშორის საგანმანთლებლო მიზნებს (ე.წ. გამჭოლ კომპეტენციებს)
    h. სადამრიგებლო პროგრამას
2. **შეფასება**
    a. შეფასების ფორმებს/კრიტერიუმებს/აქტივობებს საგნების/კლასების/საფეხურების მიხედვით
    b. შეფასების ინტენსივობას კლასების/საფეხურების მიხედვით
    c. აუცილებელ შეფასების კრიტერიუმებს იმისთვის, რომ საგანი, საფეხური ან კლასი ჩაეთვალოთ დაძლეულად.
3. **გარემოსა და დროის მართვა**
    a. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპებს, მათ შორის დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის ორგანიზების ფორმებს
    b. სასწავლო პროცესის მართვის რგოლების ფუნქციებს და პროცედურებს: კათედრა, დამრიგებელი.
    c. მოსწავლეების რაოდენობას კლასებში და კლასებში მოსწავლეების დაყოფის პრინციპებს
    d. საგანმანათლებლო რესურსების მართვის, მათ შორის მათი შერჩევის პრინციპებს.
    e. სასწავლო კალენდრის ორგანიზების ფორმებს
    f. სასკოლო ცხრილის ორგანიზების, გაკვეთილებისა და დასვენებების ხანგრძლივობის პარამეტრებს
    g. გაცდენების აღრიცხვის ფორმებსა და დასაშვებ ზღვრებს.
4. **ინკლუზია**
    a. შინ სწავლების ფორმებს
    b. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების, შეფასების, გაცდენების ინდივიდუალიზაციის ფორმებს.

3.1.3 ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტები

ავტორიზაციის სტანდატები ადგენს რეგულაციებს სასწავლო პროცესის მიმართ, რაც ითვალისწინებს იმას, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა:

ა) უნდა გამომდინარეობდეს სკოლის მისიიდან
ბ) უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას
გ) უნდა ითვალისწინებდეს საფეხურის მოთხოვნებს
დ) ითვალისწინებდეს სპეციალური საჭიროებების მოსწავლეების პროგრამებს
ე) ითვალისწინებდეს გამჭვირვალე და ესგ-ს შეფასების სიტემას
ვ) ითვალისწინებდეს მშობლების ინფორმირების მექანიზმებს
ზ) ითვალისწინებს თვითშეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას.

თვითშეფასების ანგარიშის ფორმა ასევე ითვალისწინებს: სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ამსახველ დოკუმენტაციას კათედრების მიხედვით; შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმას; თემატურ-კალენდარული/თემატური ერთეულის გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაბიჯი - 2: რეგულირების სფეროს მიხედვით დონეების გამოყოფა

მარეგულირებელი ნორმების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ სფეროები, რომელთა დაყოფაც იქნებოდა სასურველი რეგულირების დონეების მიხედვით. სასურველია რეგულირების დონეების რაოდენობა იყოს ოპტიმალური, იმისთვის რომ ერთი მხრივ შესაძლებელი იყოს რეგულირების დიფერენცირება, ხოლო მეორე მხრივ კი არ გაჩნდეს საფრთხე, რომ მიდგომის დანერგვა არარეალისტური იქნება.

დანერგვას შეიძლება ხელი შეეშალოს, თუ რეგულირების დონეები ზედმეტად ბევრი იქნება. მრავალი დონის არსებობა, იმ შემთხვევაში თუ სკოლების დონეებს შორის გადასვლა წახალისებული იქნება, ამავდროულად ნიშნავს იმასაც, რომ სახელმწიფოს თითოეული სკოლის შეფასება მრავალჯერადად მოუწევს.

ჩვენი შემოთავაზებაა, რომ დაყოფა დაბალ, საშუალო და მაღალ რეგულირების დონეებად მოხდეს. ერთი მხრივ სკოლებისთვის, საზოგადოებისთვის და გადაწყვეტილების მიმღებებისთვისაც შედარებით უფრო მარტივად გასაგები იქნება, თუ რა იგულისხმება რეგულირების დონეებს შორის. მეორე მხრივ, თავად დონეების სახელწოდებებს არ ექნება ნეგატიური კონოტაცია, რაც სკოლების სტიგმატიზებას შეუწყობდა ხელს.

მსგავსი საკითხია განსახილველი, როდესაც გადასაწყვეტია თუ რამდენ <u>მიმართულებას</u>, რამდენ <u>სფეროს</u> და თითოეული სფეროს რა <u>ასპექტების</u> რეგულირების დიფერენცირება იქნებოდა სასურველი. ჩვენი შემოთავაზებაა, რომ სახელმწიფომ ზოგადი განათლების პოლიტიკის დიფერენცირება დაიწყოს სამი მიმართულებით:

1. <u>სასწავლო პროცესის მართვა</u>
   ამ ნაწილში შევიდოდა ყველა ის საკითხი, რაც ეხება სასწავლო გეგმას, დროის მართვას, ინკლუზიას, შეფასებას, სწავლების შინაარსსა და მეთოდებს.

2. <u>სკოლის ადმინისტრირება</u>
   სკოლის ადმინისტრირების მიმართულებით რეგულირება ხდება იმ სტრუქტურების, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. ასევე რეგულირდება საქმის წარმოების პრინციპები და პროცედურები.
3. <u>სკოლის რესურსების მართვა</u>
   სკოლაში მნიშვნელოვანია ადამიანური პერსონალის მართვა, დაქირავების, განვითარებისა და დათხოვნის მექანიზმები; სკოლა ასევე მართავს ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს, სკოლის მოძრავ და უძრავ ქონებას.

სასურველია, რომ თითოეული მიმართულებით (მაგალითად სასწავლო პროცესის მიმართულებით) არაუმეტეს 5-6 სფერო გამოიყოს, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა პოლიტიკის რეგულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში საკმაოდ გართულდება სკოლების კლასტერიზაცია და პოლიტიკის ინსტრუმენტების (მხარდაჭერისა და კონტროლის პროგრამების) განსაზღვრა და განხორციელება.

მაგალითად, შესაძლებელია სასწავლო პროცესის მართვა იყოფოდეს შემდეგ სფეროებად:

- სწავლების შინაარსი
- შეფასება
- გარემოსა და დროის მართვა
- ინკლუზია

თითოეული ამ სფეროს მიხედვით შესაძლებელია რეგულირების დონეების გამოყოფა. თითოეული დონე უნდა აღიწეროს იმისთვის, რომ დადგინდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი თითოეული დონისთვის აუცილებელი სტანდარტების, ან ნორმების შემუშავებაზე და მათ რეალიზაციაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეგულირების დონეები ასევე გამოხატავს სკოლების ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობების ხარისხსაც.

ქვემოთ, ცხრილი 1-ში მოცემულია სასწავლო პროცესის მიმართულების, სწავლების შინაარსის სფეროს სხვადასხვა ასპექტის რეგულირების სამ დონედ დაყოფის მაგალითი. ცხადია ასპექტების ჩამონათვალი აქ არასრულია, რადგან ეს ჩამონათვალი მიყვება ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირებულ საკითხებს. სასურველი იქნება სხვა ასპექტების გათვალისწინებაც, რომლებიც სხვა ნორმატიული აქტებით (მაგ. კანონი ზოგადი განათლების შესახებ) რეგულირდება. მაგალითად, დიფერენცირება შესაძლოა ასევე სწავლების ენის, ან მაგალითად სასკოლო კალენდრის რეგულირებასაც შეეხოს.

ცხრილი 1: შინაარსის რეგულირების სამი დონე (ნიმუში)

	რეგულირების სფერო	მაღალი რეგულირება	საშუალო რეგულირება	დაბალი რეგულირება
1	**სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი**	სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ	სავალდებულო საგნების ჩამონათვალს არეგულირებს ეროვნული სასწავლო გეგმა, არჩევით საგნებს შეიმუშავებს სკოლა. დასაშვებია სავალდებულო საგნების ჩამონათვალის მცირე მოდიფიცირება (მაგ. ქართულ ენასა და ლიტერატურის ზოგადი კურსის ნაცვლად პოეზიის, ან წერის კურსის შემუშავება).	საგნების ჩამონათვალს მთლიანად განსაზღვრავს სკოლა.
2	**საგნების სწავლების თანმიმდევრობა კლასებისა და საფეხურების მიხედვით**	საგნების სწავლების თანმიმდევრობა განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ კლასების/სემესტრების მიხედვით	საგნების სწავლების თანმიმდევრობა განისაზღვრება საფეხურების მიხედვით. სკოლა განსაზღვრავს კლასების/სემესტრების მიხედვით	საგნების სწავლების თანმიმდევრობა განისაზღვრება მთლიანად სკოლის მიერ.
3	**საგნების სწავლების მოცულობა**	კვირეულ, სემესტრულ, წლიურ დატვირთვებს განსაზღვრავს სახელმწიფო.	წლიურ დატვირთვას განსაზღვრავს სახელმწიფო. კვირეულ/სემესტრულ დატვირთვებს განსაზღვრავს სკოლა	საგნის სწავლების მოცულობებს განსაზღვრავს სკოლა.
4	**საგნებში მისაღწევ შედეგები**	შედეგები განსაზღვრულია კლასების მიხედვით სახელმწიფოს მიერ	შედეგები განსაზღვრულია საფეხურის მიხედვით სახელმწიფოს მიერ. კლასებად	შედეგების მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება

			ანაწილებს სკოლა	სახელმწიფოს მიერ. დანარჩენს, კლასებად, საგნებად და საფეხურებად ანაწილებს სკოლა.
5	**საგნების ფარგლებში სასწავლი შინაარსი**	შინაარსი კლასების მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ	შინაარსი საფეხურის მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. კლასების/საგნების დონეზე განსაზღვრავს სკოლა.	სავალდებულო შინაარსი არ განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ. არის მხოლოდ სარეკომენდაციო შინაარსი
6	**საგნების ფარგლებში ჩასატარებელი აქტივობები**	სავალდებულო ჩამონათვალს განსაზღვრავს სახელმწიფო	სარეკომენდაციო ჩამონათვალს განსაზღვრავს სახელმწიფო	სახელმწიფო მხოლოდ განსაზღვრავს ზოგად და არა საგნობრივ რეკომენდაციებს.
7	**საგანთაშორისი კომპეტენციები**	სახელმწიფო განსაზღვრავს სავალდებულო ჩამონათვალს და სავალდებულო მიღწევის გზებს (საგნებში ინტეგრირების თუ სასკოლო აქტივობების გზით)	სახელმწიფო განსაზღვრავს მისაღწევ შედეგებს და სარეკომენდაციო მიდგომებს	სახელმწიფო განსაზღვრავს მხოლოდ მიმართულებებს. სწავლების ფორმებს ადგენს სკოლა.
8	**სადამრიგებლო პროგრამა**	პროგრამასა და მოცულობას ადგენს სახელმწიფო	მიზნებს განსაზღვრავს სახელმწიფო. პროგრამასა და პროცესებს ადგენს სკოლა	სახელმწიფო განსაზღვრავს ზოგად რეკომენდაციებს. სადამრიგებლო პროგრამას ადგენს სკოლა.

ნაბიჯი - 3: რეგულირების შესაბამისი პროგრამების შემუშავება

იმისთვის, რომ სისტემისა და ამ კონკრეტული დოკუმენტის მაგალითისთვის, სასწავლო პროცესის მიმართულებით ხარისხის განვითარების დაჩქარება მოხდეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ასევე შესაძლოა სხვა დონის აქტორებმაც (მაგ. ადგილობრივი ხელისუფლება) უნდა შეიმუშავონ სკოლებისთვის შესაბამისი პროგრამები/პოლიტიკის ინსტრუმენტები. დიფერენცირების განხორციელება ეფექტური იქნება, თუ რეგულირების თითოეული დონისთვის შემუშავდება არა მხოლოდ კონტროლის პროგრამები, რომლებიც რეგულირებისთვის აუცილებელ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, არამედ ასევე მხარდაჭერის პროგრამებიც, რომლებიც სისტემის განვითარების საფუძველია.

კონტროლის პოლიტიკის ინსტრუმენტები რეგულირების დონის მიხედვით განსხვავებული იქნება, რადგან სახელმწიფოს სხვადასხვა შეთანხმებების რეგულირება დაჭირდება განსხვავებული ავტონომიის ხარისხის მქონე სკოლების შემთხვევაში. რეგულირების დონეები ასევე უნდა შეესაბამებოდეს სკოლების შესაძლებლობებს და არსებულ საჭიროებებსაც. სწორედ ამიტომაც, დიფერენცირება მნიშვნელოვანია მხარდაჭერის პროგრამების შემთხვევაშიც.

დაბალი რეგულირების დონისთვის კონტროლისა და მხარდაჭერის პროგრამების რაოდენობა, ინტენსივობა და შესაბამისი ფინანსური ხარჯებიც სავარაუდოდ უფრო ხშირად ნაკლები იქნება, ვიდრე მაღალი რეგულირების დონეებისთვის. პასუხისმგებლობების გადანაწილება პროგრამების შემუშავებაზე, მათ განხორციელებაზე და გაუმჯობესებაზეც შესაბამისად მოხდება. დაბალი რეგულირებისას გადაწყვეტილებების უმეტესი ნაწილი და ასევე მათ განხორციელების ხარჯებიც ორგანიზაციის, სკოლის დონეზე გადადის. მაღალი რეგულირებისას სახელმწიფო უფრო მეტად ერთვება გადაწყვეტილების მიღების მისი აღსრულებისთვის მნიშვნელოვანი პროცედურებისა და რესურსების განსაზღვრასა და მობილიზებაში.

დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვის პირველ ეტაპზე, სასურველი იქნება თითოეული მიმართულებისთვის, დღეისთვის არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების აღნუსხვა. შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა ამ პოლიტიკის ინსტრუმენტების განაწილება რეგულირების დონეების მიხედვით. ამ დროს გამოჩნდებოდა, თუ რა მიმართულებით იქნებოდა სასურველი კონტროლის, ან მხარდაჭერის მიმართულებით ახალი პროგრამების/პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება. ამ დოკუმენტის მომზადებისთვის, სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების დეტალური შესწავლისთვის დრო და სხვა რესურსები არ იყო ხელმისაწვდომი. ამიტომ, ქვემოთ, ცხრილი 2-ში შემოგთავაზებთ სასწავლო შინაარსთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროგრამების/პოლიტიკის ინსტრუმენტების რეგულირების დონეებად განაწილების მხოლოდ მოკლე ნიმუშს.

ცხრილი 2: მხარდაჭერის/კონტროლის პროგრამები სხვადასხვა რეგულირების დონის მიხედვით

	რეგულირების სფერო	მაღალი რეგულირება	საშუალო რეგულირება	დაბალი რეგულირება
1	სწავლის შედეგების შემოწმება	მოსწავლეები აბარებენ გამოსაშვებ/გადასაყვან გამოცდებს	სკოლის სურვილის შემთხვევაში მოსწავლეები აბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს. სახელმწიფო ეხმარება სკოლებს საკუთარი შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში. სახელმწიფო ქმნის შეფასების ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებაც სკოლებს შეუძლიათ სახელმწიფოსთვის შედეგების მიწოდების გარეშეც.	სწავლის შედეგების შეფასება ხდება მთლიანად სკოლის დონეზე.
2	სწავლების შედეგების ეროვნული შეფასება	სახელმწიფო აფასებს მოსწავლეების შედეგებს შერჩეულ სკოლებში/კლასებში/საგნებში/კომპეტენციებში	სახელმწიფო აფასებს მოსწავლეების შედეგებს შერჩეულ სკოლებში/კლასებში/საგნებში/კომპეტენციებში	სახელმწიფო აფასებს მოსწავლეების შედეგებს შერჩეულ სკოლებში/კლასებში/საგნებში/კომპეტენციებში
3	სწავლების შინაარსის განსაზღვრა და მართვა	სახელმწიფო ქმნის საკონსულტაციო ჯგუფებს რესურსცენტრების ბაზაზე სასწავლო შინაარსის მართვის გაუმჯობესებისთვის. სახელმწიფო ქმნის ტიპიურ სასწავლო პროგრამებს, კვირეული სასწავლო გეგმების დონეზე.	სახელმწიფო აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას საუკეთესო პრაქტიკების შესახებ. სახელმწიფო ქმნის/ლიცენზირებას ახდენს ალტერნატიულ პროგრამებს საგნების მიხედვით, რომელთა შორისაც არჩევანის გაკეთება შეუძლიათ სკოლებს. მაგ. ალტერნატიული პროგრამა შეიძლება იყოს ონლაინ კურსიც.	სახელმწიფო ახდენს თავისუფალი სასწავლო რესურსების შექმნის პროცესის სტიმულირებას. სახელმწიფო აკრედიტაციას ახდენს სკოლებისა და მათი სასწავლო გეგმების.

ნაბიჯი - 4: სკოლების დაყოფა სასწავლო პროცესის რეგულირების დონეების მიხედვით

სასურველია, რომ დიფერენცირებული პოლიტიკის დასანერგად გამოვიყენოთ არსებული პოლიტიკის ის ინსტრუმენტები, რომლებიც ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკის სივრცეში გარკვეულწილად უკვე ინსტიტუციონალიზებულია. ეს საშუალებას მოგვცემს ნაკლები დროითი, თუ ორგანიზაციული რესურსის დახარჯვის საფუძველზე, ჩართული ორგანიზაციებისა და პირებისთვის შედარებით მარტივად გასაგებ ენაზე მოხდეს დიფერენცირებული პოლიტიკის განხორციელების დაწყება.

მეორე პრინციპი, რაც დიფერენცირებული პოლიტიკის, როგორც სკოლების განვითარებისკენ წახალისების ინსტრუმენტად გამოყენებისთვის არის მნიშვნელოვანი, მოითხოვს, რომ სკოლების რეგულირების დონეებად დაყოფა საკუთრივ სკოლების ინიციატივას დაეფუძნოს. თუ სკოლა თავად შეეცდება განსაზღვროს თუ რა დონეზე უნდა რეგულირდებოდეს, იმის გათვალისწინებით თუ რა შესაძლებლობები აქვს მას, მაშინ ეს პროცესი სკოლების თვითშეფასებისა და განვითარების დაჩქარებისთვის შეიძლება გამოდგეს. ამგვარი მიდგომა თავიდან ააცილებს ცენტრალურ ხელისუფლებას დიფერენცირების, როგორც სკოლების ხელოვნურად დაჯგუფების მცდელობად აღქმის ნეგატიურ შედეგებსაც.

მესამე პრინციპი, რამაც შეიძლება დიფერენცირების სხვა ნეგატიური მხარეები შეამციროს (მაგ. სკოლების რეიტინგების შედგენა და მოსწავლეების შესაბამისი სტიგმატიზება), სკოლების მიმართულებების მიხედვით შეფასებას გულისხმობს. შესაძლებელი უნდა იყოს, რომ სკოლა ერთი მიმართულებით რეგულირების ერთ დონეზე იყოს, ხოლო მეორე მიმართულებით კი მეორეზე. ასევე დასაშვები უნდა იყოს დიფერენცირება რეგულირების სფეროების მიხედვითაც.

ამ პრინციპების გათვალისწინებით სასურველია, რომ დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვის მთავარი ინსტრუმენტი ავტორიზაცია და აკრედიტაცია გახდეს. დიფერენცირების მეტი შესაძლებლობისთვის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი გაითვალისწინებს რეგულირების სამი დონის მიხედვით სასწავლო პროცესის, ან ნებისმიერი სხვა მიმართულების, მაგ. ფინანსების, ადამიანური რესურსების ან სხვ. მართვის რეგულირებას.

ავტორიზაცია, რომელიც სკოლების ფუნქციონირებისთვის დღეისთვის საკვალიფიკაციო მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, დიფერენცირებული მიდგომის დანერგვის შემდეგ ორგანიზაციისთვის რეგულირების მაღალ დონეს გაუტოლდება. თუ რომელიმე მიმართულების/სფეროს მიხედვით სკოლა იქნება მხოლოდ ავტორიზებული, მას ამ მიმართულებით/ამ სფეროში მიესადაგება რეგულირების მაღალი დონის შესაბამისი მხარდაჭერისა თუ კონტროლის პოლიტიკის ინსტრუმენტებიც.

რეგულირების საშუალო და დაბალი დონეების მისადაგებისთვის საუკეთესო აკრედიტაციის გამოყენება იქნებოდა. დღეს აკრედიტაცია ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მხოლოდ გამონაკლის სკოლებს აქვთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ის არის, რომ სკოლებს აკრედიტაციისთვის სახელმწიფო განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ერთროულად ყველა მიმართულებით. თუ აკრედიტაცია ორ დონედ დაიყოფა, I დონედ, რომელის რეგულირების საშუალო დონეს მიესადაგება და II დონედ, რომელიც რეგულირების დაბალ დონესთან იქნება გათანაბრებული, მაშინ სახელმწიფოს მეტი შესაძლებლობა მიეცემა ეს ინსტრუმენტი სკოლების განვითარების წასახალისებლად გამოიყენოს.

მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაცია, ორივე დონისთვის, ისევე როგორც ავტორიზაციის შემთხვევაში, მიმართულებებისა და სფეროების მიხედვით ჩატარდეს. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება სკოლების მიმართ მეტად ნიუანსირებული პოლიტიკის გატარება. თუ სკოლა უფრო ძლიერია რესურსების მართვის თვალსაზრისით, მაგრამ ნაკლებად სასწავლო პროცესის მართვის მიმართულებით, შესაძლოა ის აკრედიტაციას სწორედ პირველი მიმართულების მიხედვით მოიპოვებდეს, ხოლო მეორე მიმართულებით მხოლოდ ავტორიზაციის დონეს აკმაყოფილებდეს.

დასაშვებია აკრედიტაციის მესამე დონის - ინსტიტუციური აკრედიტაციის გამოყოფაც. იმ შემთხვევაში, თუ სკოლას ექნება მოპოვებული აკრედიტაცია ყველა მიმართულებით დაბალი რეგულირების დონის მიხედვით (II დონის აკრედიტაცია), ის ჩაითვლება ინსტიტუციური აკრედიტაციის მფლობელად.

სკოლების მიმართულებებისა და სფეროების მიხედვით ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის, x წლიდან გამოცხადდება ღია კარის სისტემით აკრედიტაციის შესაძლებლობა. სახელმწიფოს ხელში არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება წელიწადში სააკრედიტაციო სკოლების რაოდენობის შეზღუდვა. ასეთ შემთხვევაში, ავტორიზაციის განხილვა დაიწყება რეგისტრაციის ვადებიდან გამომდინარე განაცხადების შემოსვლის რიგითობის მიხედვით.

აკრედიტაცია მოხდება მიმართულებების მიხედვით. სკოლას ექნება არჩევანი, რა მიმართულებით გაივლის აკრედიტაციას. მაგალითად სკოლას შეეძლება, რომ გაიაროს აკრედიტაცია მხოლოდ სასწავლო პროცესის მიმართულებთ, ან დამატებით სხვა მიმართულებებითაც ერთდროულად. შედეგად შესაძლებელია გაჩნდეს სკოლები, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით განსხვავებული რეგულირების დონის აღიარება აქვთ მოპოვებული (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3. კონკრეტული სკოლის მახასიათებლების ცხრილის მაგალითი

შეფასების მექანიზმი		**ავტორიზაცია**	**აკრედიტაცია I დონე**	**აკრედიტაცია II დონე**
რეგულირების სფერო / დონე		მაღალი რეგულირება	საშუალო რეგულირება	დაბალი რეგულირება
1	**სასწავლო პროცესი**			
1.1	შინაარსი			
1.2	შეფასება			
1.3	გარემოს და დროის მართვა			
1.4	ინკლუზია			
2.	**სკოლის ადმინისტრირება**			
2.1	გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები			
2.2	საქმის წარმოება			
3.	**სკოლის რესურსების მართვა**			
3.1	ფინანსების მართვა			
3.2	ქონების მართვა			
3.3	ადამიანური პერსონალის მართვა			

ნაბიჯი - 5: მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება

დიფერენცირებული პოლიტიკის სისტემის მართვისთვის სახელმწიფოს დაჭირდება საინფორმაციო ბაზის შემუშავება. ავტორიზებული და აკრედიტებული მიმართულებების/ინსტიტუციების ბაზის მიხედვით, სახელმწიფო შეაფასებს დიფერენცირებული პოლიტიკის წარმატებას. გრძელვადიან მიზნად, შესაძლოა სახელმწიფომ დაისახოს იმ სკოლების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა, რომლებსაც დაბალი რეგულირებისა და დაბალი მხარდაჭერის პირობებში შეეძლებათ განვითარება. დანერგვის საწყის ეტაპზე, წარმატების ერთ-ერთ ინდიკატორად შეიძლება გამოდგეს სკოლის ადმინისტრაციის მოთხოვნა განვითარებაზე - ანუ მიმართულებების მიხედვით აკრედიტაციის მიღების შესაძლებლობაზე.

დიფერენცირებული პოლიტიკის მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნებოდა ასევე სკოლების შესაძლებლობების ზრდა, რომ მათ რეგულირების უფრო მაღალი დონიდან უფრო დაბალისკენ გადასვლა მოახერხონ. ცხადია, მათი ეს შესაძლებლობები დამოკიდებული იქნება როგორც ორგანიზაციულ, ისე სისტემურ ძალისხმევაზე. შესაბამისად მნიშვნელოვანი იქნება, რომ აკრედიტაცია/ავტორიზაციის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად ჩატარდეს.

სისტემის მონიტორინგისთვის ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა მხარდაჭერისა და კონტროლის პროგრამების ე.წ. რუკის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა იმის ნახვაც, თუ რამდენად ფარავს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა საჭიროებასა და რეგულირების დონეს, მიმართულებებისა და სფეროების მიხედვით. ცხადია, რომ თითოეულ პროგრამას, პოლიტიკის ინსტრუმენტს დაჭირდება საკუთარი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება, იმისთვის, რომ დადგინდეს თუ რამდენად რელევანტური, ეკონომიური, ან შედეგიანია ეს ინსტრუმენტები ამ კონკრეტული რეგულირების დონისთვის გამოსაყენებლად.

4. განათლებაში დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვის რისკები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვას, ისევე როგორც ნებისმიერ პოლიტიკის გადაწყვეტილებას, თან ახლავს რისკები, რომელთა გათვალისწინებაც და მართვაც მნიშვნელოვანი იქნება ამ პოლიტიკის წარმატებისთვის. რისკებიდან ამ დოკუმენტში გამოვყოფდით ორ, სისტემურ და ინსტიტუციურ რისკებს.

4.1 სისტემური რისკები

სისტემურ რისკებად შეგვიძლია ისეთი გამოწვევები ჩავთვალოთ, რომლებიც თავად დიფერენცირებული პოლიტიკის რაობის და ამ დოკუმენტში შემოთავაზებული მოდელის დანერგვის სირთულეებისგან მომდინარეობს.

4.1.1. სკოლების რეიტინგების დიფერენცირებასთან გაიგივების რისკი

იმ შემთხვევაში თუ დიფერენცირებისთვის სკოლების დაყოფა სახელმწიფოს, თავად სკოლების, ან რომელიმე სხვა მხარის მიერ გამოყენებული იქნება სკოლების რეიტინგების შესამუშავებლად, არსებობს რისკი, რომ დიფერენცირება მრავალი ნეგატიურ შედეგს მოიტანს შეუძლია სკოლებისა და მათი მოსწავლეებისთვის.

რეგულირების მაღალ დონეზე დარჩენა, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება მწირიs რესურსების გათვალისწინებით, სკოლის გააზრებული და გამართლებული არჩევანი იყოს. მაგალითად, შესაძლოა სკოლას ერჩივნოს, რომ ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ შესყიდვების განხორციელება გადაიბაროს, რადგან მას მაღალი კვალიფიკაციის ფინანსური მენეჯერის პოვნა უჭირდეს. ასეთ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს, რომ სკოლა ნაკლებ ძალისხმევას გასწევს იმისთვის, რომ წარმატებულად შეასრულოს თავისი ძირითადი

ფუნქცია - მოსწავლეებისთვის წარმატებული საგანმანათლებლო გამოცდილების ორგანიზება. თუ მაღალი რეგულირების ქვეშ მუშაობა რეიტინგისთვის საზიანოდ ჩაითვლება, მაშინ შეიძლება სკოლამ საკუთარი ძალისხმევა ძირითადი საზრუნავიდან სწორედ მეორეხარისხოვანი მიზნების დაძლევაზე გადაიტანოს, რაც საზიანო იქნებოდა თავად განათლების პროცესისა თუ შედეგისთვის.

სასკოლო რეიტინგებზე მიბმას ხშირად ფსიქოლოგიური პრობლემების შექმნაც შეუძლია. თუ მოსწავლეს არც არჩევანი აქვს, თუ რომელ სკოლაში წავა და არც სკოლის გაუმჯობესებაში ჩართვის შესაძლებლობა, მაშინ მის სწავლის მოტივაციაზე შეიძლება სკოლის დაბალმა რეიტინგმა უარყოფითი გავლენაც იქონიოს.

სკოლების რეიტინგების შემოღებით, სახელმწიფო ხშირად იძულებულია სკოლები მიაკუთვნოს ისეთ რეიტინგულ ნიშნულს, რომლებსაც შესაძლოა მშობლები ან საზოგადოების სხვა წევრები არ ეთანხმებოდნენ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია თავად სახელმწიფოს შეფასების ლეგიტიმურობა და პოლიტიკური კლასის უფრო ფართო პოლიტიკური ხედვა დადგეს ეჭვის ქვეშ.

4.1.2. დიფერენცირების შემოთავაზებული მოდელის კომპლექსურობა

ამ დოკუმენტში შემოთავაზებული განათლების პოლიტიკის დიფერენცირების მოდელი სხვადასხვა მიმართულებისა და სფეროს მიხედვით რეგულირების და შესაბამისად პოლიტიკის ინსტრუმენტების შემოღების დიფერენცირებას გულისხმობს. ეს მოდელი ასევე გულისხმობს სკოლების შეფასებას, მათივე ინიციატივიდან გამომდინარე. არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა თაობის გადაწყვეტილებების მიმღებები პროცესის დაჩქარებისა და გამარტივებისთვის შეეცდებიან სკოლები ცენტრალიზებულად დაყონ გარკვეულ ჯგუფებად. ეს დაყოფა შეიძლება ემყარებოდეს, შედარებით უფრო ობიექტურ, რაოდენობრივ ან გეოგრაფიულ კრიტერიუმებს (მაგ. მცირეკონტიგენტიანი, ქალაქის/სოფლის და ა.შ.); ან უფრო თვისებრივი მახასიათებლებით დაყოფას (წარმატებული ოლიმპიადებში, სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობით და ა.შ.).

ამგვარი მიდგომა გაართულებს სკოლების საჭიროებებისა და შესაძლებლობების ნიუანსების გათვალისწინებას. მაგალითად, მცირეკონტიგენტიან სკოლებს შორის არის ისეთი სკოლებიც, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამიანურ პოტენციალს ფლობს (მაგ. ზოგიერთი კერძო სკოლა). ასეთივე მიდგომამ შეიძლება სკოლებში არაეთიკური ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებაც გამოიწვიოს. მაგალითად, შესაძლოა სკოლა შეეცადოს ხელოვნურად (მაგ. მოსწავლეების იძულებით სხვა სკოლაში გადავიდნენ)გააუმჯობესოს ის პარამეტრები, რომლებიც მათი აზრით სკოლების უკეთეს ჯგუფში მოსახვედრად ჭირდება.

დიფერენცირებული პოლიტიკის შემოთავაზებული მოდელის კომპლექსურობა ასევე გულისხმობს, რომ სკოლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემის განხორციელებას დაჭირდება ამ მიმართულებით ახალი კომპეტენციების მქონე კონსულტანტების მომზადება,

ადმინისტრაციული პროცესების ოპტიმიზაცია, ბიუროკრატიული ბარიერების მაქსიმალური შემცირება და ხარჯების სწორი გათვლა.

4.1.3 სხვა სისტემებთან თავსებადობა და სინქრონულობა

მნიშვნელოვანია, რომ დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკა განიხილებოდეს, როგორც სისტემის მართვის საფუძველში მდგომი სამოქმედო პრინციპიც და ერთგვარი მეთოდიც. ეს გულისხმობს იმასაც, რომ ნებისმიერი ახალი პოლიტიკის ინსტრუმენტი, ან უკვე არსებული გააზრებული/გადააზრებული უნდა იყოს დიფერენცირების პერსპექტივიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ დიფერენცირების მიდგომების განხორციელება იქნება გამოყენებული მხოლოდ იმ მიმართულებების/სფეროების მიმართ, რომლებიც დიფერენცირების დანერგვის პროცესის დასაწყისში განისაზღვრება და არა შემდგომი პოლიტიკის ინსტრუმენტების დაგეგმვისთვისაც.

4.2 ინსტიტუციური რისკები

ინსტიტუციურ რისკებში შეიძლება გავითვალისწინოთ ის გამოწვევები, რომლებიც სკოლების თუ სისტემის შიგნით არსებულ ინსტიტუციურ კულტურის, ორგანიზაციული, ან პოლიტიკური მოწყობის თავისებურებებს უკავშირდება.

4.2.1 დიფერენცირების მიზნების გააზრება

იმ შემთხვევაში თუ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში განათლების პოლიტიკის დიფერენცირების სწრაფი დანერგვა დაიწყება, არსებობს რისკი, რომ ამ სისტემის მომხრეები მცირე იქნება სკოლების დონეზე. ამ რისკს ამყარებს სკოლების გამოცდილებაც, რომელიც საქართველოს განათლების პოლიტიკის არასტაბილურობას უკავშირდება. სკოლებს შესაძლოა არ მოუნდეთ ძალისხმევა გასწიონ რაიმე ახალი სისტემის დანერგვისთვის, თუ ისინი არ დარწმუნდებიან რომ ა) ეს სისტემა მათთვის სასარგებლო იქნება და ბ) ეს სისტემა მდგრადი იქნება მრავალი წლის განმავლობაში.

4.2.2 დიფერენცირებისთვის არასასურველი პოლიტიკური გარემო

დიფერენცირებული პოლიტიკის მიდგომის დასანერგად მნიშვნელოვანი იქნებოდა სახელმწიფოსა და სკოლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბება. ეს მაგალითად გულისხმობს იმასაც, რომ სკოლა და სახელმწიფო შესაძლოა ზოგ შემთხვევაში შეთანხმდნენ ხოლმე, თუ რომელი რეგულირების დონე იქნებოდა კონკრეტული სკოლის პირობებში ოპტიმალური.

ასეთი შეთანხმებების მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია იმ ვითარებაში, როდესაც სახელმწიფო, კერძოდ კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი სააგენტოები (მაგ. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) სკოლების მიერ ხშირად კონტროლის და ნაკლებად მხარდაჭერის წყაროდ განიხილება. თუ სამინისტროს პოლიტიკური ხელმძღვანელობა საფრთხეს უქმნის სკოლის დირექტორს, რომ ის ლეგიტიმურობას ან თანამდებობას დაკარგავს საკუთარ ორგანიზაციაში, მაშინ ნაკლებია იმის ალბათობა, რომ ის ახალი სისტემის დანერგვაში საკუთარ სარგებელს უფრო დაინახავს, ვიდრე რისკებს.

დანერგვისთვის ხელსაყრელი გარემოს თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად მოხდება საქართველოში მოქმედი პოლიტიკური კლასის დარწმუნება, რომ დიფერენცირებული მიდგომა უფრო მეტად სასარგებლოა, როგორც რესურსების ოპტიმიზაციის, ისე საჭიროებების მეტად გათვალისწინებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის მიმართ დასახული სხვა პოლიტიკური ამოცანების გათვალისწინებისთვის.

5. დასკვნა და შემდგომი ნაბიჯები

დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვა განათლებაში მოითხოვს გეგმაზომიერ, ფრთხილ და გააზრებული ნაბიჯების გადადგმას. ამ დოკუმენტში მოცემულია ერთ-ერთი მოდელი, თუ როგორ შეიძლება ამ ნაბიჯების გადადგმა. იმისთვის, რომ ეს მოდელი დაიხვეწოს, მნიშვნელოვანი იქნება მისი ფართო და პროფესიული საზოგადოების ჩართულობით განხილვა. ასევე სასარგებლო იქნებოდა სისტემის გარკვეული ელემენტების პილოტირება, მისი სრულად დანერგვამდე.

იმისთვის, რომ დიფერენცირების პოლიტიკის დანერგვა წარმატებული იყოს, ასევე მნიშვნელოვანი იქნებოდა დიფერენცირების, როგორც პოლიტიკის წარმოების საფუძვლის ინსტიტუციონალიზაცია. ეს გულისხმობს მართვის სხვადასხვა დონეზე, განსაკუთრებით კი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დიფერენცირების პრინციპებისთვის აუცილებელი ხედვის გაზიარებას, სათანადო ინსტრუმენტების (მაგ. აკრედიტაცია, ავტორიზაცია, მართვის საინფორმაციო ბაზა, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა და სხვ.) შემუშავებასა და პერსონალის ტრენინგს. ინსტიტუციონალიზაციისთვის ასევე შესაძლოა სასარგებლო იყოს დიფერენცირებულ პოლიტიკაზე გადასვლის დანერგვის ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მოამზადებდა სათანადო ნორმატიულ აქტებს, გაწერდა სამოქმედო გეგმას, შეადგენდა ბიუჯეტს და ა.შ.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ განათლების სისტემაში დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკას სისტემის მიმართ არსებული გამოწვევების მოგვარების დაჩქარება, ხარჯების ეკონომიურობის, სახელმწიფო პროგრამების რელევანტურობისა და ეფექტურობის გაზრდა შეუძლია. თუმცა, პოლიტიკის ამ მიმართულებით ცვლილება არ უნდა განვიხილოთ საკმარისად სისტემაში არსებული პრობლემების მოგვარებისთვის. დიფერენცირებული პოლიტიკის დანერგვა განათლების სისტემის მართვის პრინციპების გაუმჯობესებას მოიტანს, რაც უფრო მოკლედ დროში, შედარებით იაფად, უკეთესი შედეგების მიღების საშუალებაა და არა პანაცეა.